ზოგი ლექსიკური ერთეულის შესახებ შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

გელდიაშვილი ნუნუ
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://orcid.org/0000-0001-6846-7924
DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.10

კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (პროექტი: „შიო არაგვისპირელის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა“; გრანტის ნომერი **FR-24-22723)**

აბსტრაქტი: *ზოგადად, მწერლის ხიბლი იმაშია, რომ არ ცდილობდეს ხელოვნური ფრაზების შექმნას, იყოს უშუალო, გულწრფელი და მოგვაქციოს საოცარი ემოციური აღქმის სფეროში. ამ მხრივ, თვალის ერთი გადავლებითაც კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შიო არაგვისპირელი ზედმიწევნით კარგად ართმევს თავს პასუხისმგებლობას ენისა თუ მკითხველისადმი და ეფექტურად აღწევს დასახულ მიზანს, რაშიც ლექსიკა-ფრაზეოლოგიას გამორჩეული ადგილი უკავია და რაც მისი შემოქმედებითი ფანტაზიის მაჩვენებელია, მწერლის ლექსიკონისათვის კი უხვ საილუსტრაციო მასალას იძლევა.*

*ნაშრომში წარმოვადგენთ მხოლოდ ზოგიერთ ისეთ ლექსიკურ ერთეულს, რომლებსაც, ვფიქრობთ, სხვადასხვა ნიშნით ექნება ღირებულება და მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას: 1. სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტით შეიძლება ნათელი იყოს, მაგრამ მწერლის ლექსიკური თავისებურებების შესასწავლად აუცლებელი; 2. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შესაძლებელია ფართო მკითხველისათვის (დღევანდელი გადასახედიდან) გაუგებარი აღმოჩნდეს; მათ უმეტესად გააჩნიათ გააჩნიათ ფიგურალურობა, საოცარი ექსპრესია, დინამიზმი, თავისებური მხატვრული გამომსახველობა და მომდინარეობენ ცოცხალი, სასაუბრო, ზოგჯერ არქაული მეტყველებიდან (**ცრემლვა/**ტირილი; **ჭუჭკვა**/ამოკეცვა; **დაბუხვა/**გაყინვა; **მათრათი**/პირის დასაბანი თიხის თასი; **ხამუშ-ხამუშ**/დროდადრო; **მარქაფა**/სათადარიგო; **კრენხვა**/თვალის ჩაკვრა; **ლავლავი**/საცოდავად, ტანჯვით ღეჭვა; **ქაფიანი**/არაყი; **მსჯელობის ძაფი**/მსჯელობის, აზროვნების უნარი;**კრიჭის შებერტყვა**/სახის გასუფთავება, პირის მოწმენდა; **გულის მოლაფნა** /გულის მოლბობა...*

აღწერითი, ლექსიკოგრაფიული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებზე დამყარებული კვლევის კომპლექსურობა შემდგომში საშუალებას მოგვცემს, კიდევ ერთხელ გამოიკვეთოს ის არსებითი ხასიათის კანონზომიერებები თუ ტენდენციები, რომლებიც მოქმედებდა და მოქმედებს ჩვენს ენაში.

შესწავლილი საკითხი, ჩვენი აზრით, იქნება თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე, რადგან მასში თავმოყრილი მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულები საუკეთესო მასალაა სხვადასხვა სალექციო-სასწავლო კურსისათვის (ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, დიალექტოლოგია, მწერლის ენა და სტილი...).

კვლევის შედეგად საბოლოოდ ცხადი ხდება, რომ შიო არაგვისპირელის ტექსტის იდეურ-მხატვრული მარკერი, სწორედაც, ნაირგვარი ლექსიკური ერთეულებია, რომელთა მიზნობრივი, ეფექტური მოხმარებით მწერალი ქმნის განუმეორებელ ინდივიდუალურ მხატვრულ ენობრივ სამყაროს და ადასტურებს, რომ იგი ბევრ სიახლეს სძენს და ამდიერებს ენას, ხოლო ეს ენა, მართლაც, ქმნის საფუძველს მისთვის ღირსეული ადგილის მისაჩენად სალიტერატურო ენის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: *შიო არაგვისპირელი; სალექსკონო ლექსიკური ერთეულები; იდეურ-მხატვრული მარკერი.*

შესავალი.

ჩვენ თუ დავუკვირდებით მხატვრული ლიტერატურის, მხატვრული აზროვნებისა და ენის ურთიერთმიმართების საკითხებს, ნებისმიერი მწერლის შემოქმედების შესწავლისას, საბოლოო დასკვნების გამოსატანად, ცალსახად აუცილებელი გახდება ისეთ უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორიცაა:

1. რას აძლევს მწერალი ენას, ანუ, როგორ და რით ამდიდრებს იგი ენას;
2. რას აძლევს ენა მწერალს, რაც ქმნის საფუძველს მწერლის ინდივიდუალობის გამოსაკვეთად და მისთვის ადგილის მისაჩენად სალიტერატურო ენის განვითარებაში. ამ მხრივ ძალზე საინტერესოდ, შეიძლება ითქვას გადამწყვეტადაც კი, გამოიყურება შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ლექსიკა-ფრაზეოლოგია, რომელიც, უდავოდ, განსაზღვრას მწერლის ინდივიდუალურ სტილს, მისი შემოქმედებითი ფანტაზიის მაჩვენებელია და შემოქმედის ლექსიკონისათვის უხვ საილუსტრაციო მასალას იძლევა.

ნაშრომში წარმოვადგენთ მხოლოდ ზოგიერთ ისეთ ლექსიკურ ერთეულს, რომლებსაც, ვფიქრობთ, სხვადასხვა ნიშნით ექნება ღირებულება და მიიპყრობენ მკითხველის ყურადღებას: 1. სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტით შეიძლება ნათელი იყოს, მაგრამ მწერლის ლექსიკური თავისებურებების შესასწავლად აუცლებელი; 2. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შესაძლებელია, ფართო მკითხველისათვის (დღევანდელი გადასახედიდან) გაუგებარი აღმოჩნდეს.

საკითხის შესასწავლად დავეყრდენით კვლევის ისეთი მეთოდებს, როგორიცაა: აღწერითი, ლექსიკოგრაფიული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. აღნიშნულ მეთოდებზე დამყარებული კვლევის კომპლექსურობა შემდგომში საშუალებას მოგვცემს, კიდევ ერთხელ დადგინდეს ის არსებითი ხასიათის კანონზომიერებები თუ ტენდენციები, რომლებიც მოქმედებდა და მოქმედებს ჩვენს ენაში.

კვლევა, ჩვენი აზრით, იქნება თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე, რადგან მასში თავმოყრილი მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულები საუკეთესო მასალაა სხვადასხვა სალექციო-სასწავლო კურსისათვის (ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, დიალექტოლოგია, მწერლის ენა და სტილი...).

მსჯელობა:

ზოგადად, მწერლის ხიბლი იმაშია, რომ იგი არ ცდილობდეს ხელოვნური ფრაზების შექმნას, იყოს უშუალო, გულწრფელი, მოგვაქციოს საოცარი ემოციური აღქმის სფეროში. ასეთი მიზნის მიღწევა ადვილი არაა: ,,გულით აღქმულის, ცნობიერებაში გარდატეხილისა და გონებით გააზრებულის მკითხველამდე მიტანას შესაფერისი ენობრივი საშუალებები, სტილი სჭირდება“ (ზვიადაძე, 2023; გვ.264).

თვალის ერთი გადავლებითაც კი შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ შიო არაგვისპირელი ზედმიწევნით კარგად ართმევს თავს პასუხისმგებლობას ენისა თუ მკითხველისადმი და ეფექტურად აღწევს დასახულ მიზანს, რაშიც ლექსიკა-ფრაზეოლოგიას გამორჩეული ადგილი უკავია. გამომდინარე აქედან, არაგვისპირელის ნაწერებიდან დავიმოწმებთ ამ მხრივ გამორჩეულ ზოგიერთ ნიმუშს, რომელთაც, უდავოდ, გააჩნიათ საოცარი ექსპრესია, დინამიზმი, თავისებური მხატვრული გამომსახველობა და ძირითადად ცოცხალი, სასაუბრო, ზოგჯერ არქაული მეტყველებიდან მომდინარეობენ:

ცრემლვა 368, 34 ტირილი:

,,...რომ პირველ მზის სხივზე ცრემლვა დაიწყეს“.

ჭუჭკვა 368, 22 კეცვა/ამოკეცვა:

,,-ეკითხება ჭრელი პეპელა და გადაფარებულ ფრთას უფრო უჭუჭკავს“.

დაბუხვა 368, 4 გაყინვა:

,,...სიცივისაგან მთლად დავიბუხე“.

დახროვება 66, 8 არეულად დაყრილი:

,,....ტაბლა, რომელზედაც დახროვებული იყო წიგნები და სხვადასხვა საგნები“.

შეყენება 369,11 შეჩერება:

,,ასე ვნავარდობდი, ვიდრემდის ბინდმა არ შემაყენა“.

აჯეჯვა 71, 21 ზემოთ აწევა (პალტოს საყელო):

,,თედომ აიჯეჯა პალტოს საყელო ყურებ ზევით“.

ვუყელეთ 70,33 გავუძეხით (წინ გაძღოლა):

,,აქ კაი ამბავი უნდა იყოსო და წინ ვუყელეთ“.

ვერანა 66,25 წყეული:

,,-ფუ, შე ვერანო!...-წამოიძახა თედომ და ხველა აუვარდა“.

დარაკრაკებული, 130, 32 გაკრიალებული:

,,ყველა საფქვილე ავეჯეულობა დაწმენდილი და დარაკრაკებული ხვდება“.

დამსხივნული 69,15 (რგოლი) პატარა/მცირე:

,,...რომელიც ჯერ დამსხივნულ რგოლად სჩანდა“.

მწერლისეული ხელწერისა და საოცარი ხიბლის მქონენი არიან გაცოცხლებული დიალექტური სიტყვები და ფორმები:

ხამუშ-ხამუშ 67,8 დროდადრო:

,,...და ხამუშ-ხამუშ ყრუთ ახველებდა“.

ხვიმირი 130,10 მარცლეულის ჩასაყრელი ჯამი:

,,გოგია მიხვდა, ხვიმირში არა ყრია-რაო“.

მათრათი 69,4 პირის დასაბანი თასი თიხის:

,,და ამისთვის მათრათი ლამპრის ახლო მიიტანა“.

მარქაფა 131, 12 სათადარიგო:

,,გარედან-კი მარქაფაზე გადამჩქეფი წყლის შუილი შემოისმოდა და გოგიას ათასგვარ ფიქრს უბადავდა თავში“.

კრენხვა 2, 33 (თვალის) ჩაკვრა, მინიშნება თავის მოსაწონებლად:

,,-შენი თვალის კრენხვას ისე ყურს არ უგდებენ, როგორც ბეხრეკი ძაღლის ღრინვასა“

ლავლავი 1,20 ღეჭვა (საცოდავად, ტანჯვით):

,,თითო ლუკმა გამხმარი პური, მედუქნისაგან გადმოღებული, პირში ჩაიდეს და საცოდავად ალავლავებდნენ“.

ქაფიანი 70,16 არაყი:

,,-ემანდე, ქაფიანის დანახვაზე როგორ მომხიარულდი“.

ალა 130, 4 *(ალას მიეყრდნო)* კასრი ხის (ან ლითონის) დიდი ჭურჭელი, ცილინდრული ფორმისა, აქვს ბრტყელი ძირი და ცოტათი გამოზნექილი მუცელი, ფქვილის ჩასაყრელი:
,,...მერე ალაში ჩაიხედა, რომელიც სახრილესავით სუფთად იყო მოგვილი...“
საროდიოდ-ღა 70, 23 როდისთვის(ღა):
,,ამოალაგე, საროდიოდ-ღა ინახავ“
შიო არაგვისპირელის ტექსტებში სიტყვათა ფიგურალური მნიშვნელობით გამოყენების სიუხვე მანიშნებელია მწერლის იმ ინდივიდუალიზმისა და მკაფიო ზღვარდაუდებელი ოსტატობისა, რომლითაც მდიდრდება ენა და რომლითაც საკუთარ სიტყვას ამბობს შემოქმედი:
შუბლის მოწურვა 353, 4 შუბლის მოწმენდა:
,,ორივე ხელით შუბლი მოიწურა“.
მუცლის კაკანი 133, 12 ძახილი (შიმშილით გამოწვეული):
,,ფქვილის დანახვაზე მუცელმა სულ კაკანი დაუწყო“.
მორღვეულის თვალებით 66,17 უმიზნოდ გამომეტყველი:
,,თედო თავის დიდრონისა და მორღვეულის თვალებით დიდხანს დასცქეროდა ყელ-მოღერებულს ლამპარს და რასღაც ფიქრობდა“.
მსჯელობის ძაფი 73,26 მსჯელობის/აზროვნების უნარი:
,,მომავალზე ხომ სულ ვეღარა სთქვეს-რა და მსჯელობის ძაფი გაუწყდათ“.
კრიჭის შებერტყვა 135,11 სახის გასუფთავება/პირის მოწმენდა:
,,...კრიჭა შებერტყა, რომ უკანასკნელი მარცვლებიც ჩამოეყარა იქიდან“.
თავგახელება 64, 32 ხელიდან გასხლტომა (გაქცევა/გათავისუფლება):
,,...ქალებს თუთიყუშების თავგახელება არ ესიამოვნათ და სახე შეიჭმუხნეს უსიამოვნების ნიშნად“.
კასსაში მიბარება 71,17 დაგირავება:
,,ჩემი კასსაში მივაბარე, რომ არ გამიფუჭდეს...“
გულის მოლაფნა 358,2 გულის მოლბობა:
,,ამის მნახველს გული მოელაფნა და მწარე ღიმილით წამოიძახა...“
გადაშლა 69,7 გადატყდომა:
,,მათრათი ხელიდან გაჰვარდა, რომელიც მაშინვე იატაკზე ზედ შუაზე გადიშალა“.
გამოდარება 73,14 (სახის) გაბრწყინება, განათება:
,,...იმათი სახე ხან იღრუბლებოდა და ხან იდარებდა“.
გატვრინება 63,22 დაფიქრება:
,,ამას შემდეგ სოლომონი ისევ გატვრინდა და გონების თვალით ისევ იმ საღამოს დაუბრუნდა“.
ბოთლის შესვენება 73, 10 სმის შეწყვეტა:
,,...მაშინ შეასვენეს ბოთლი და ბაასს მოჰყვნენ“.
ბერზვარად დაყენება 25, 24 კრუხად დასმა ქათმის სხვისთვის ბედნიერების მოსატანად:
,,ერთ ქოჩორა ვარიას ბერზვარად დაგიყენებ!“.
მაგოგად გახდომა 73,37 კერპად ქცევა:
,,...ვერ გამოერკვიათ,ღირსი იყო ეს საგანი იმისი, რომ იდეალად დაესახათ, მაგოგად გაეხადათ, რომელსაც უნდა ემსახურნენ და სიცოცხლე შესწირონ...“
მოჭედვა (ულვაშის) 69,31 მოჩუქურთმება/მორთვა:
,,...და ულვაში წვრილის ლოლუებით მოჭედოდა“.
ტანის მოშლა 369,34 დაუძლურება, ძალის გამოცლა:

,,ტანი მომეშალა და, დარეტიანებულმა, მსწრაფლ ძირს ფორთხიალი დავიწყე“
მიკნავებული ხმა 77,1 დასუსტებული/მისუსტებული:
,,მიკნავებულის ხმით იკითხა მან“.

დასკვნა:

ამდენად, ცხადი ხდება, რომ შიო არაგვისპირელის ტექსტის იდეურ-მხატვრული მარკერი, სწორედაც, ნაირგვარი ლექსიკური ერთეულებია, რომელთა მიზნობრივი, ეფექტური მოხმარებით მწერალი ქმნის განუმეორებელ ინდივიდუალურ მხატვრულ ენობრივ სამყაროს და ადასტურებს, რომ იგი ბევრ სიახლეს სძენს და ამდიერებს ენას, ხოლო ეს ენა, მართლაც, ქმნის საფუძველს მისთვის ღირსეული ადგილის მისაჩენად სალიტერატურო ენის განვითარებაში. გარდა ამისა, ცხადყოფს იმ უდავო ჭეშმარიტებასაც, რომ ,,სწორედ ენაშია დაუნჯებული ყველა ის შესაძლებლობა, რომლებსაც ჭეშმარიტი შემოქმედი აამოძრავებს, სულს შთაბერავს და ხატოვანი აზროვნების გამომხატველად აქცევს. არსად არა აქვს ისეთი ფართო ასპარეზი სიტყვათშემოქმედებას, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში. ენის განედლება, მისი შინაგანი პოტენციის მაქსიმალური გამოვლენა და გამოყენება სწორედ აქ ხდება. გრამატიკული წესები და ლექსიკონი აფიქსების გროვად გადაიქცეოდა, შემოქმედებითად გამომყენებელი რომ არ ჰყავდეს ენას“ (ჯორბენაძე, 1987; გვ. 5).

ლიტერატურა:

- **არაგვისპირელი, შ.** თხზულებათა სრული კრებული, ტ.I, თბ.,1947.
- **ზვიადაძე, თ.** მწერლის ენობრივ-შემოქმედებითი სამყარო, თბ.,2023.
- **კოშორიძე,ე.** მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005.
- **ჯორბენაძე,** ბ. - ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.

On Some Lexical Units in the Creative Works of Shio Aragvispireli

Geldiashvili Nunu
Iakob Gogebashvili Telavi State University
https://orcid.org/0000-0001-6846-7924

Science Foundation of Georgia (SRNSFG) [Project Title ,,Academic Edition of the Complete Collection of Shio Aragvispireli's Novellas"; grant number: FR-24-22723]

Abstract

In general, the charm of a writer lies in the ability to avoid artificial phrasing, to remain direct and sincere, and to draw the reader into a realm of profound emotional perception. From this perspective, even a cursory reading allows us to assert that Shio Aragvispireli fulfills with remarkable precision his responsibility toward both language and reader and effectively achieves his intended artistic goals. In this process, lexis and phraseology occupy a distinctive place, serving as a clear manifestation of the writer's creative imagination and providing rich illustrative material for the study of his lexical repertoire.

In this paper, we present only a selection of lexical units which, in our view, are of particular value according to various criteria and are likely to attract the reader's attention: 1.

lexical items whose meanings may be clear from the context yet are essential for the study of the author's lexical idiosyncrasies; 2. lexical units that may be incomprehensible to a broad readership from a contemporary perspective. Most of these items are characterized by figurativeness, remarkable expressiveness and dynamism, a distinctive artistic mode of representation, and originate from living, colloquial speech.

(**ცრემლვა** [tsremlva] (tearing up/crying); **ჭუჭკვა** [tchutchkva] (crumpling/folding up); **დაბუხვა** [dabukhva] (becoming numb or stiff/freezing); **მათრათი** [matrati] (a clay bowl used for washing the face); **ხამუშ-ხამუშ** [khamush-khamush] (intermittently/from time to time); **მარქაფა** [marqapa] (reserve/spare); **კრენხვა**[krenkhva] (squinting/winking); **ლავლავი** [lavlavi] (pitiful, labored chewing); **ქაფიანი** [qapiani] (foamy); **მსჯელობის ძაფი** [msjelobis dzapi] (the thread of reasoning / the ability to reason or think logically); **კრიჭის შებერტყვა** [kritchis shebertkva] (wiping the mouth or face clean); **გულის მოლაფნა** [gulis molapna] (softening of the heart; emotional yielding)...

The complexity of the research, based on descriptive and lexicographic methods as well as analysis and synthesis, will subsequently enable us to once again identify and elucidate the fundamental regularities and tendencies of an essential nature that have operated and continue to operate in our language.

In our view, the issue under study is of both theoretical and practical significance, as the diverse lexical units assembled therein constitute excellent material for various lecture-based and instructional courses (lexicology and lexicography, dialectology, the language and style of the writer, etc.).

As a result of the research, it becomes evident that the ideological and artistic marker of Shio Aragvispireli's text lies precisely in its diverse lexical units. Through their purposeful and effective use, the writer creates a unique and individual artistic linguistic world and demonstrates that he introduces and enriches the language with numerous innovations. This language, indeed, provides a solid foundation for assigning him a достой place in the development of the literary language.

Key words: *Shio Aragvispireli; non-standard lexical units; ideological and artistic marker.*